



განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და

მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

The International Institute for Education

უმალესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული  
განვითარება საქართველოში

უმალესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული  
მიმართულების მიხედვით

IV - ხარისხის უზრუნველყოფა

ექსპერტი - ირინე დარჩია

თბილისი 2013

## შინაარსი

1. საკითხის დასმა - ჰიპოთეტური მოდელი .....	3
ა) ფოკუსირება განათლების ხარისხის პრობლემატიკაზე.....	6
ბ) ინტერნაციონალიზაცია.....	8
გ) დაინტერესებული მხარეების, პროფესიონალების ჩართულობა, ინტერესთა ბალანსი და ობიექტურობა.....	12
დ) საჯაროობა და გამჭვირვალობა.....	13
2. არსებული სიტუაციის შეფასება.....	15
2.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი.....	15
2.2. ავტორიზაცია.....	19
2.3. აკრედიტაცია.....	23
2.4. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა.....	32
3. რეკომენდაციები.....	36
3.1. ხარისხის გარე უზრუნველყოფა.....	36
3.2 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა.....	39
ინტერვიუები.....	40
გამოყენებული მასალები .....	41

# 1. საკითხის დასმა - ჰიპოთეტური მოდელი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, როგორც უსდ-ებისა და/ან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემური და სისტემატური პროცესი, განსაკუთრებულ მასშტაბსა და პრიორიტეტულობას იძენს ბოლონის პროცესის ინიცირების შემდეგ, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფას. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა გულისხმობს ინსტიტუციის საქმიანობის მონიტორინგს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. ხარისხის გარე უზრუნველყოფა კი წარმოადგებს უსდ-ს და/ან საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებისა და პროცედურების ერთობლიობას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფა არის „შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას“ („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 2, 3<sup>22</sup>).

ხარისხის უზრუნველყოფა, ჩვეულებრივ, მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვას, შეფასებას, მონიტორინგს, მიღწეული პოზიტიური შედეგების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს თანმიმდევრული და მკაფიოდ ფორმულირებული კრიტერიუმების საფუძველზე. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უნდა დაემყაროს რეგულარულ ინსტიტუციურ პროცედურებსა და მექანიზმებს, რომელთა სტაბილურობასაც განაპირობებს ხარისხის მყარი კულტურა, ხოლო ამ უკანასკნელის შექმნა უსდ-ს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის ვალია. ხარისხის გარე უზრუნველყოფა (რომელიც ბევრ ქვეყანაში მოიაზრება აკრედიტაციად) უმაღლესი განათლების სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია, როგორებიცაა, მაგალითად, უსდ-სათვის ფუნქციონირების უფლების მინიჭება, სახელმწიფოს მიერ აღიარებული აკადემიური ხარისხების გაცემის შესაძლებლობა, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების მიღების უფლება და სხვ.<sup>1</sup>

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა სავალდებულოა ბოლონის პროცესის მონაწილე თითოეული ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსთვის. ხოლო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ევროპული პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი ევროპული ორგანიზაციები, როგორებიცაა უმაღლესი განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (<http://www.enqa.eu/>), ევროპულ სტუდენტთა კავშირი (<http://www.esu-online.org/>), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (<http://www.eua.be/>), უსდ-ების ევროპული ასოციაცია (<http://eurashe.eu/>). სწორედ ამ ოთხი ორგანიზაციის მიერ დაფუძნდა უმაღლესი განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (<http://www.eqar.eu/>), რომლის მიზანიც მთელი ევროპის მასშტაბით უმაღლეს

<sup>1</sup> Quality Assurance and Accreditation: A Glossary of Basic Terms and Definitions compiled by Lazăr VLĂSCĂANU, Laura GRÜNBERG, and Dan PÂRLEA, Bucharest 2007.

განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ტრანსპარენტულობაა. რაც შეეხება უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის კონცეპტუალურ საკითხებს, ისინი განსაზღვრულია დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“ ([http://www.enqa.eu/files/ESG\\_3edition%20\(2\).pdf](http://www.enqa.eu/files/ESG_3edition%20(2).pdf)), რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციისა და რეესტრის ყველა მოქმედი თუ მომავალი წევრი ორგანიზაციისთვის.<sup>2</sup>

უმაღლესი განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მოდელი, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- უმაღლესი განათლების მიმწოდებლების უპირველესი ვალდებულებაა მათ მიერ მოწოდებული განათლების ხარისხი და მისი უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ინტერესი უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტანდარტების მიმართ უნდა იყოს გარანტირებული და დაზღვეული;
- აკადემიური პროგრამების ხარისხი უნდა იყოს განვითარებული და გაუმჯობესებული სტუდენტებისა და უმაღლესი განათლების სხვა მომხმარებლებისთვის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში;
- საჭიროა ეფექტური და ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, რომლის შიგნითაც მოხდება აკადემიური პროგრამების შეთავაზება და მათი მხარდაჭერა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანია გამჭვირვალება და გარე ექსპერტიზის გამოყენება;
- უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში წახალისებული უნდა იყოს ხარისხის კულტურა;
- პროცესები იმგვარად უნდა იყოს წარმართული, რომ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს შეეძლოთ სახელმწიფო და კერძო ფინანსურ ინვესტიციებზე ანგარიშვალდებულების წარმოჩენა;
- ინსტიტუტებს უნდა შეეძლოთ მათი ხარისხის როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო დონეზე წარმოდგენა;
- პროცესებმა არ უნდა დათრგუნონ მრავალფეროვნება და ინოვაციები.

დღეისათვის ბოლონის პროცესის მონაწილე ორმოცდაშვიდივე ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულება, რომ გაატარებს გარკვეულ ზომებს როგორც სახელმწიფო, ისე ინსტიტუციურ დონეზე,<sup>3</sup> რათა დაწინაურდეს და განვითარდეს იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ხარისხის მართვა როგორც ინსტიტუციურ, ისე სისტემურ დონეზე იყოს **ეფექტური**, ხოლო ხარისხის შეფასება - **ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე და კვალიფიციური**. ბუნებრივია,

---

<sup>2</sup> აღნიშნული დოკუმენტი თარგმნილია ათობით ევროპულ ენაზე და მათ შორის ქართულად, თუმცა უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ვებგვერდზე მოცემულია 14 ენაზე შესრულებული თარგმანი, მაგრამ ქართული კი ამ ჩამონათვალში არ არის ([http://www.enqa.eu/pubs\\_esg.lasso](http://www.enqa.eu/pubs_esg.lasso)). სასურველია მივმართოთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომ მისი ინიციატივით მოხდეს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

<sup>3</sup> სწორედ ამ საერთაშორისო ვალდებულების გამო აუცილებელია, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის არსებობა დარჩეს აუცილებელ საკანონმდებლო მოთხოვნად როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უსდებისთვის.

ბოლონიის პროცესის მონაწილე სხვადასხვა ქვეყანა მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებს ამ ამოცანების განხორციელებას, რაც დამოკიდებულია მთელ რიგ სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და მენტალურ ფაქტორებზე.

ბოლონიის პროცესის მონაწილე ამა თუ იმ ქვეყანაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის შეფასება შესაძლებელია რამდენიმე ინდიკატორის გამოყენებით: ა) არის თუ არა ამ ქვეყნის შესაბამისი პროფილის რომელიმე დაწესებულება (ხარისხის უზრუნველყოფის/აკრედიტაციის ცენტრი, სააგენტო და სხვ.) ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) და/ან რეესტრის (EQAR) წევრი; ბ) როგორია ამ ქვეყნის უსდ-ების საერთაშორისო რეიტინგი და სხვ.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ოპტიმალური მოდელი საქართველოსთვის, გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის/ქვეყნების გამოცდილება, რომლებთანაც საქართველოს შედარებით მეტი საერთო აქვს ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტით. ამ თვალსაზრისით პარადიგმატულ მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ ხარისხის უზრუნველყოფის ის სისტემა, რომელიც განვითარებულია ბალტიისპირეთში, კერძოდ კი, ესტონეთში. ესტონური მოდელი მისაღები და გასაზიარებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა) საქართველოს ესტონეთთან აერთიანებს უახლოესი წარსული (ორივე ქვეყანა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა შესაბამისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებით, განათლების მსგავსი სისტემებით);

ბ) ესტონეთს უკვე მიღწეული აქვს ის ძირითადი სტრატეგიული მიზანი - ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება - რომელიც საქართველოსთვის ჯერჯერობით მხოლოდ სამომავლო პერსპექტივაა;

გ) როგორც საქართველო, ესტონეთიც ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყანაა უმაღლესი განათლების განვითარების მეტ-ნაკლებად მსგავსი მიზნებითა და ფასეულობებით;<sup>4</sup>

დ) როგორც საქართველოს, ისე ესტონეთის ადამიანური რესურსი შეზღუდულია. ორივე მცირე ზომის ქვეყანაში აკადემიური საზოგადოება საკმაოდ მცირერიცხოვანია, რაც ართულებს გარე შეფასების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას და ეჭვქვეშ აყენებს პროცესის ობიექტურობასა და სამართლიანობას;

ე) ესტონეთის უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტო (<http://www.ekka.archimedes.ee/>) უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია (<http://www.enqa.eu/agencydet.lasso?id=18>), რაც ნიშნავს,

---

<sup>4</sup> სასურველი იყო ამ კონტექსტში საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ მიზნებზეც მიგვეთითებინა, მაგრამ ისინი დღემდე მკაფიოდ განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული არ არის.

რომ ესტონეთში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ესტონური განათლების ხარისხი აღიარებულია ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის მიერ;

ვ) უსდ-ების აკადემიური რანჟირების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და პრესტიჟული, ე.წ. თაიმსის რანჟირების სისტემის მიხედვით, 2012 წელს ტარტუს უნივერსიტეტი მოხვდა მსოფლიოს 400 წამყვანი უნივერსიტეტის ჩამონათვალში.<sup>5</sup>

ზემოთ აღნიშნული ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით წარმატებული ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რამდენიმე ასპექტის გამოყოფა შეიძლება:

ა) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ფოკუსირება მხოლოდ განათლების ხარისხის შეფასებასა და განვითარებასთან უშუალოდ დაკავშირებულ პრობლემატიკაზე;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაცია;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში როგორც დაინტერესებული მხარეების, ისე პროფესიონალების მაქსიმალური ჩართულობა, ინტერესთა ბალანსი და ობიექტურობა;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა.

მიმოვიხილავთ ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას ზემოთ აღნიშნული ასპექტების მიხედვით და წარმოვადგენთ მის მიმართებას საქართველოში მოქმედ უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სისტემასთან.

### **ა) ფოკუსირება განათლების ხარისხის პრობლემატიკაზე**

უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტოს (Estonian Higher Education Quality Agency - EKKA) ფუნქციებია (შემდგომში: ხარისხის ესტონური სააგენტო):

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია და მათი საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების ხარისხის შეფასება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების პირველადი შეფასება;
- შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის უსდ-ების განვითარების მიზნით;
- საზოგადოების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ;

---

<sup>5</sup> აღნიშნული ფაქტი ზოგადად ესტონური უმაღლესი განათლების სისტემისა და, კერძოდ, ტარტუს უნივერსიტეტის სერიოზული წარმატებაა საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ტარტუს უნივერსიტეტის გარდა მხოლოდ მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტები ხვდება ანალოგიურ ჩამონათვალში არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

- შეფასების ექსპერტების ტრენინგი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების კონსულტირება და ტრენინგი;
- საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობა საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასების მიზნით;

საქართველოში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) (შემდგომში: ხარისხის ცენტრი) ასევე პასუხისმგებელია ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციაზე, მაგრამ ესტონური ანალოგისგან განსხვავებით ის ფაქტობრივად არ მონაწილეობს საერთაშორისო ქსელების აქტივობებში და აგრეთვე ის ითავსებს ისეთ საქმიანობას, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება განათლების ხარისხს.

ხარისხის ცენტრის დღევანდელი მისია სავსებით მისაღები და გასაზიარებელია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ თუ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში. კერძოდ, იგი გულისხმობს შემდეგს: საზოგადოების თითოეულ წევრსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ზრუნვა განათლების ხარისხზე, მის მუდმივ გაუმჯობესებასა და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე.<sup>6</sup>

ისმის კითხვა: რამდენად შეესაბამება ცენტრის მიზნები, ამოცანები, საქმიანობის სფერო და ფუნქციები მის მისიას. ცენტრის მიზნებია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება;
- საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მინიჭებული კვალიფიკაციების დასაქმების ბაზართან კავშირის უზრუნველყოფა;
- მიღებული განათლების სწავლის შედეგების მნიშვნელობისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან მათი შესაბამისობის შეფასება;
- ქართული ენის განვითარებისა და ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის დამკვიდრების ხელშეწყობა.

როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების შეფასებით, ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ასეთი მულტიფუნქციურობა, შეზღუდული ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, უარყოფითად აისახება მისი საქმიანობის ხარისხზე, ანუ

<sup>6</sup> იხ. აგრეთვე „საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“.

აფერხებს ქვეყანაში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას (იხ.: USAID-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები).

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოება, სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირება ისევე, როგორც ქართული ენისა და ტერმინოლოგიის განვითარების ხელშეწყობა ცალსახად არ შეესაბამება ცენტრის მისიას, რომელიც, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია ხარისხის გარე უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილებასთან. აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველი იქნება, თუ ცენტრი კოორდინირებას გაუწევს დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესს (დეტალურად იხ.: ქვემოთ). ამდენად, *მისიის უკეთ შესასრულებლად, სასურველია ცენტრის მიზნებისა და, შესაბამისად, ფუნქციების შემოფარგვლა მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარებასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობით.*<sup>7</sup>

## **ბ) ინტერნაციონალიზაცია.**

ხარისხის ესტონური სააგენტო არის შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი: უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (European Association for Quality Assurance in Higher Education - ENQA) - 2002 წლიდან; უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი (International Network for Quality Assurance Agencies in Higher Education - INQAAHE) - 1996 წლიდან; უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ქსელი (Central and Eastern European Network for Quality Assurance Agencies in Higher Education - CEENetwork) - 2001 წლიდან. 2013 წელს განხორციელდა უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტოს გარე შეფასება უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის მიერ, რაც უნდა გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში ჩართვის წინაპირობა.

გარდა ამისა, ესტონეთში როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის აუდიტორული, სავალდებულო პირობა არის უცხოელი გარე ექსპერტების, ანუ რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სპეციალისტების მონაწილეობა. უსდ-ს შეფასების პროცესში მონაწილეობს არანაკლებ ორი უცხოელი ექსპერტისა, ხოლო ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენა ინგლისურია (უსდ ვალდებულია უზრუნველყოს თარგმნის პროცესი იმ შემთხვევაში, თუ მისი პერსონალი ინგლისურს არ ფლობს). საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების შეფასების პროცესში ასევე სავალდებულოა უცხოელი ექსპერტის/ექსპერტების მონაწილეობა, თუმცა გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნეს მხოლოდ სათანადო, მყარი არგუმენტებით დასაბუთების შემთხვევაში.

ესტონური ანალოგისგან განსხვავებით, ხარისხის ცენტრი დღეისათვის არც ერთი შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი არ არის. 2009 წელს ხარისხის ცენტრმა სცადა

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ 2011-2012 წლებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ითავსებდა სახელმძღვანელოთა გრიფირების ფუნქციასაც.



უმალეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში გაწევრიანება, თუმცა მისი განაცხადი არ დაკმაყოფილდა (ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ხელისშემშლელი აღმოჩნდა ორი ფაქტორი: ა) ვერ დადასტურდა ცენტრის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან; ბ) ნაკლად ჩაითვალა ცენტრის საქმიანობის ფართო სპექტრი).

ამჟამად ხარისხის ცენტრი კვლავ ამზადებს განაცხადს უმალეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით. დაგეგმილია უცხოელი კონსულტანტის ჩართვა განაცხადის მომზადების პროცესში.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით, უმალესი განათლების მიზნების მისაღწევად, სახელმწიფო უზრუნველყოფს: „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას“ („საქართველოს კანონი უმალესი განათლების შესახებ“, მუხლი 3, 2. დ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხარისხის ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას, უსდ-ს ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურებს („საქართველოს კანონი უმალესი განათლების შესახებ“, მუხლი 7, 1, ვ, ო).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რამდენად და რა მექანიზმების გამოყენებით შეიძლება მოგვარდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის სახელმწიფოზე დამოკიდებულების პრობლემა. სახელმწიფოსთან ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით ასევე პარადიგმატულად შეიძლება ჩაითვალოს ესტონური გამოცდილება.

ესტონეთის მთავრობამ დააფუძნა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, არქიმედეს ფონდი, რომლის ამოცანაც არის განათლებისა და მეცნიერების სფეროში სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო პროგრამისა და პროექტის კოორდინირება და იმპლემენტაცია. ხარისხის ესტონური სააგენტო სწორედ ფონდ არქიმედეს მიერ არის დაფუძნებული. ამ უკანასკნელის სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს ხარისხის შეფასების საბჭოს წევრებს, რომლებიც საქართველოში ინიშნებიან პრემიერ-მინისტრის მიერ.

ესტონეთის ხარისხის შეფასების საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან არა მხოლოდ ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციაზე, არამედ ითავსებენ იმ ფუნქციებსაც, რომლებიც საქართველოში გადანაწილებულია ხარისხის ცენტრის დირექტორსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს შორის. კერძოდ, ესტონეთში ხარისხის შეფასების საბჭოს დამატებითი ფუნქციებია: ხარისხის სააგენტოს წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება; ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცედურებთან დაკავშირებული რეგულაციების დამტკიცება; ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის გარე შემფასებელთა ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ წარდგინების შედგენა უსდ-სთვის ლიცენზიის მინიჭების თაობაზე; გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების თაობაზე და სხვ.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის მეორე ასპექტს, საქართველოში არც ავტორიზაციის, არც აკრედიტაციის პროცესი არ ითვალისწინებს უცხოელი ექსპერტების მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის ცენტრის ერთ-ერთი მიზანი „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება“.

*ბუნებრივია, რომ ინტერნაციონალიზაცია, შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, შეფასების პროცესში უცხოელი სპეციალისტების ჩართვა და ხარისხის უზრუნველყოფის უცხოური ორგანიზაციების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება არის ის აუცილებელი მექანიზმები, რომელთა გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, ჭეშმარიტად ობიექტური, სამართლიანი და კვალიფიციური შეფასების განხორციელება, ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ნდობის ამაღლება და საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვება (ან მისი განმტკიცება იმ სფეროებში, რომლებშიც ქართულ საგანმანათლებლო სკოლებს ავტორიტეტი უკვე მოპოვებული აქვთ).*

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა თანხებთან იქნება დაკავშირებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში უცხოელი ექსპერტის ჩართვა. საკმაოდ რეალისტური გათვლებით თითო ექსპერტის სამდღიანი ვიზიტის უზრუნველყოფა 2100-2550 ევრო ჯდება (კერძოდ, მგზავრობის ხარჯები - დაახლოებით 600 ევრო, სადღეღამისო ხარჯები, რომელშიც შედის როგორც სასტუმრო, ისე კვება - 450 ევრო, ჰონორარი (დამოკიდებულია ექსპერტის მიერ შესაფასებელი პროგრამების რაოდენობაზე) - დაახლოებით 1050-1500 ევრო).

ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია უცხოელმა ექსპერტებმა შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი (მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე) და წერილობით წარმოადგინონ თავიანთი დასკვნა შესაბამის უსდ-ში ვიზიტის გარეშე (ასეთ გამონაკლისს უშვებს პროგრამული აკრედიტაციის ესტონური მოდელიც), რის შედეგად თანხა დაიზოგება, მაგრამ პროგრამის შინაარსობრივი მხარის კომპეტენტური გარე შეფასება კი განხორციელდება. უცხოელი ექსპერტის მოწვევა შეფასების პროცესს, რა თქმა უნდა, გააძვირებს, თუმცა ამ თანხის არსებობა შეიძლება ინსტიტუციისა და/ან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად იქცეს. უცხოელ ექსპერტებთან დაკავშირებითაც შესაძლებელია ესტონური გამოცდილების ნაწილობრივ მაინც გაზიარება. როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის ხარჯების დიდი ნაწილი ესტონეთში იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.<sup>8</sup>

---

<sup>8</sup> ესტონეთში თითოეული უსდ-ს ინსტიტუციური აკრედიტაცია საშუალოდ 20 200 ევრო ჯდება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი ესტონეთმა თანხები წლების მიხედვით შემდეგნაირად გაანაწილა: 2011 წ. (1 უსდ) – 20 2000 ევრო, 2012 წ. (3 უსდ) – 60 600 ევრო, 2013 წ. (6 უსდ) – 121 200 ევრო, 2014 წ. (7 უსდ) – 141 400 ევრო, 2015 წ. (8 უსდ) – 161 600 ევრო, 2016 წ. (6 უსდ) – 121 200 ევრო. სულ 31 უსდ-ს ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის: 626 200 ევრო.

რაც შეეხება პროგრამულ აკრედიტაციას, წინასწარი გათვლებით, ესტონეთის ყველა უსდ-ს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად საჭირო იქნება 45 კომისია (არანაკლებ 5 წევრი, თითოეულის 8 სამუშაო დღე). თითოეული კომისიის საშუალო ღირებულება იქნება 23 000 ევრო, ხოლო შეფასების პროცესს მთლიანობაში 1 000 000 ევრო დასჭირდება 5 წლის განმავლობაში.

ავტორიზაცია-აკრედიტაციის თანხების დაზოგვის მიზნით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ევროპული გამოცდილება. ესტონეთის ხარისხის სააგენტოს ერთი და იგივე საექსპერტო ჯგუფი ახდენს არა ცალკეული პროგრამის, არამედ ერთმანეთთან დარგობრივად დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების აკრედიტაციას. შეფასების პროცესი გერმანიაშიც კლასტერულად ხორციელდება: აკრედიტაციას გადის ერთი და იმავე დარგის როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის პროგრამები, ვინაიდან მათ განსახორციელებლად, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე ადამიანური და მატერიალური რესურსი გამოიყენება. ამდენად, **სასურველია აკრედიტაციის პროცესი საქართველოშიც ანალოგიური პრინციპით წარიმართოს: ერთი იმავე ექსპერტის/ექსპერტების მიერ შეფასებული იქნეს მონათესავე პროგრამათა სამივე საფეხურის პროგრამები (არსებობის შემთხვევაში).**

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უცხოელი ექსპერტების შერჩევის პროცესში ასევე უნდა იქნას უზრუნველყოფილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. მაგალითად, უცხოელი ექსპერტი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობს ამა თუ იმ ქართულ უსდ-სთან, მის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან საქმიანი ურთიერთობები და ხშირად მეგობრობაც აკავშირებს, ობიექტურ შემფასებლად ვერ გამოდგება. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ბალტიისპირეთის გამოცდილების გაზიარება. ლატვიისა და ლიტვის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს უცხოელ ექსპერტთა შერჩევის აუცილებელ პირობად განსაზღვრული აქვთ საქმიანი ურთიერთობისა და ნებისმიერი ტიპის თანამშრომლობის არარსებობა იმ ინსტიტუციასთან, რომელს უნდა შეაფასონ.

აღბანეთი, ავსტრია, ბელგიის ფლამანდრიული ნაწილი, ლიხტენშტეინი ავტომატურად აღიარებენ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების მიერ წარმოებულ გარე შეფასების პროცესს, დანია კი ერთობლივი პროგრამებისთვის ავტომატურად აღიარებს მხოლოდ ერაზმუს მუნდუსისას. ბულგარეთი ამ პროცესს აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ორგანიზაციის შეფასების კრიტერიუმი ემთხვევა ბულგარეთისას. ყაზახეთი, ლიტვა და რუმინეთი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ანიჭებენ უფლებას, გარე შეფასება განახორციელებინონ აღნიშნული რეესტრის წევრმა ორგანიზაციებმა. გერმანია ითხოვს უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის რატიფიცირებას, ხოლო ესტონეთში უსდ ვალდებულია, რომ წინასწარ შეუთანხმოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ის უცხოური ორგანიზაცია, რომელმაც უნდა განახორციელოს შეფასება.

საქართველოს შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელი პრაქტიკის დანერგვა იქნება გამართლებული. **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა მიეცეთ უფლება, გარე შეფასების პროცესი განახორციელებინონ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის ან სხვა ანალოგიური ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან წინასწარ შეთანხმებით.** შეფასების შედეგებისა და შესაბამისი დასკვნის რატიფიცირება კი უნდა წარმოადგენდეს ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კომპეტენციას.

**გ) დაინტერესებული მხარეების, პროფესიონალების ჩართულობა, ინტერესთა ბალანსი და ობიექტურობა.**

ესტონეთის ხარისხის გარე უზრუნველყოფის რეგულაციების მიხედვით, როგორც გარე შემფასებელთა ჯგუფების, ისე ხარისხის შეფასების საბჭოს ფორმირების წესები უზრუნველყოფს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობას, შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას, თუმცა, საკმაოდ მრავალფეროვანი შემადგენლობა, აგრეთვე უცხოელი, რეალურად დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობა, გარე შემფასებლების მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას, სხვადასხვა მხარის ინტერესების დაბალანსებას, სამართლიანობას, სანდოობასა და ობიექტურობას.

ხარისხის შეფასების საბჭოს წევრებს წარდგენენ უნივერსიტეტები, პროფესიული უსდ-ები, კვლევასა და განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუციები, რეგისტრირებული პროფესიული ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაციები, სტუდენტური ორგანიზაციები. ხარისხის შეფასების საბჭოში უნდა შედიოდეს თუნდაც ერთი ექსპერტი თითოეული საგანმანათლებლო მიმართულებიდან და ერთი და იმავე ორგანიზაციის წარმომადგენელი არაუმეტეს ორი წევრისა. საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე უსდ-ს რექტორი, პრორექტორი ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი (ანალოგიური შეზღუდვა თავდაპირველად ვრცელდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრების თანამშრომლებზეც). ხარისხის შეფასების საბჭოს წევრებს წარდგენილი კანდიდატებიდან ირჩევის არქიმედეს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო ხმების 3/4-ით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოს ანალოგიური შემადგენლობის და ფორმირების წესის დამკვიდრების მცდელობას საქართველოში მოჰყვა გარკვეულწილად არაჯანსაღი პროცესი - უსდ-ების მხრიდან საკუთარი ინტერესების გამტარებელი წევრების ლობირება. სავარაუდოდ, *ამ ხარვეზის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეებს მხოლოდ საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება ექნებოდათ და არა კენჭისყრისაც.*

არც შეეხება გარე შემფასებლების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, უსდ-ს ინსტიტუციურ შემფასებელთა თითოეულ ჯგუფში შედის: ექსპერტი, რომელიც არ წარმოადგენს არც ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, არანაკლებ ორი უცხოელი ექსპერტისა და სტუდენტი. ჯგუფის ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს უსდ-ს მართვის, ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება. არც ერთი გარე შემფასებელი დაკავშირებული არ უნდა იყოს იმ დაწესებულებასთან, რომლის შეფასებაც ევალება. საყურადღებოა გარე შემფასებელთა შერჩევის კიდევ რამდენიმე კრიტერიუმი: უსდ-ს ფუნქციონირების პრინციპების, უმაღლესი განათლების ძირითადი ტენდენციების, გარე შეფასების პრინციპების ცოდნა, ინგლისური ენის ფლობა სრულყოფილად. პროგრამული აკრედიტაციის შემთხვევაში, გარე შემფასებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა ჰქონდეთ მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო მასალების

შემუშავების გამოცდილება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შედეგები კვლევაში, განვითარებასა და სხვა სახის კრეატიულ საქმიანობაში; არაკადემიური სფეროს წარმომადგენელი შემფასებელი უნდა იყოს შესაბამის დარგის აღიარებული სპეციალისტი ან მას უნდა ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების, მრჩევლობის ან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში მუშაობის გამოცდილება. შეფასების პროცესის მონაწილე სტუდენტს ასევე მოეთხოვება შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობის ან რომელიმე საფეხურზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში მუშაობის გამოცდილება.<sup>9</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის დროს ზემოთ აღნიშნული თითქმის არც ერთი კრიტერიუმი არ არის გათვალისწინებული და, ფაქტობრივად, ექსპერტის მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნა იურიდიული თვალსაზრისით ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის ცოდნაა. შედეგად ვიღებთ ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესს, რომლის სანდოობა, ობიექტურობა და კვალიფიციურობა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების და დაინტერესებული მხარეების მიერ არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.

*ამდენად, სასურველია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ევროპული და კერძოდ ესტონური გამოცდილების გათვალისწინებით.*

### **დ) საჯაროობა და გამჭვირვალობა.**

უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტოს ვებგვერდზე როგორც ესტონურ, ისე ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულია ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტები, შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და რეგულაციები. კერძოდ: ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პირობები და პროცედურები, განმარტებითი მემორანდუმები, თვითშეფასების ანგარიშისა და შეფასების ანგარიშის ფორმები, ხარისხის შეფასების საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის წესი და შემადგენლობა, უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტოს თვითშეფასების ანგარიში და მისი შეფასების ანგარიში. გარდა ამისა, საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომია: უსდ-ების თვითშეფასების ანგარიშები (მათთან შეთანხმების საფუძველზე), შემფასებელი კომისიების შემადგენლობა და მათი დასკვნები, ხარისხის შეფასების საბჭოს გადაწყვეტილებები, საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების

---

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ესტონური კანონმდებლობით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები იმ თარჯიმნის მიმართაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უსდ-ს პერსონალის შუეფერხებელი კომუნიკაცია ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტებთან. კერძოდ, თარჯიმანს უნდა ჰქონდეს: ესტონურ-ინგლისურ-ესტონურ ენებზე თარჯიმნობისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები (მაგისტრის ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი თარჯიმნობის სფეროში, თარჯიმნობა როგორც დამატებითი სპეციალობა და სხვ.), თარჯიმნობის გამოცდილება და საგანმანათლებლო სფეროსთვის სპეციფიკური ტერმინოლოგიის ცოდნა.

შემფასებელი კომისიების შემადგენლობა, მათი დასკვნები და ხარისხის შეფასების საბჭოს გადაწყვეტილებები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში ნაკლები გამჭვირვალობითა და საჯაროობით ხასიათდება მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომები არის საჯარო და ღია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (რაც თავად ხარისხის ცენტრის შეფასებით, პროცესების ნორმალურად წარმართვისთვის დამატებით ტექნიკურ სირთულეებს ქმნის). საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ცენტრის საქმიანობის ანგარიშები არასრულყოფილად,<sup>10</sup> ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები (მათი მხოლოდ მცირე ნაწილია თარგმნილი ინგლისურად), ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების ოქმები და გადაწყვეტილებები ქართულად, რომლებიც დაინტერესებულ საზოგადოებას ვერ აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას უმაღლესი განათლების შეფასების პროცესთან დაკავშირებით. **უსდ-ების და საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებისა და ექსპერტთა დასკვნების საჯაროობა , ანუ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა უმაღლესი განათლების შეფასების პროცესის ობიექტურობისა და სამართლიანობის მისაღწევად.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის სექტემბერში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით ყველაზე ანგარიშვალდებული და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები დაასახელა. სპეციალური ჯილდო ნომინაციაში „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ სხვა საჯარო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცა. აღნიშნული ფაქტი იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ მომავალში ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესები გახდეს უფრო გამჭვირვალე, ხოლო ინფორმაცია უფრო საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება ხარისხის შიდა უზრუნველყოფას, ის შედარებით უნივერსალური სისტემაა, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პარადიგმატულად შეიძლება მიჩნეული იქნეს ე.წ. ბრიტანული მოდელი, რომელიც გაზიარებულია ევროპის არაერთი წამყვანი უსდ-ს, მათ შორის ესტონეთის მიერ. წარმოვადგენთ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წარმატებული სისტემის რამდენიმე ძირითად მახასიათებელს:<sup>11</sup>

ა) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი ინდიკატორი ამ ინსტიტუტის და/ან მისი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების შედეგებია. ამდენად, ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მექანიზმები და პროცედურები უშუალო კავშირშია ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემასთან;

<sup>10</sup> არ არის წარმოდგენილი 2008, 2011 და 2012 წლების ანგარიშები. იხ.: [http://eqe.ge/geo/about/annual\\_accounts](http://eqe.ge/geo/about/annual_accounts).

<sup>11</sup> წყარო: <http://london2013.bolognaexperts.net/page/presentations>.

ბ) ხარისხის უზრუნველყოფა უსდ-ს ყოველდღიური საქმიანობა და ყველას პასუხისმგებლობაა;

გ) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესი უნდა ხორციელდებოდეს თითოეული მიმართულების თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, თუმცა ავტონომიურობა გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში;

დ) ხარისხის შიდა უზრუნველყოფა გულისხმობს შემდეგს: საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობას; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურებს; აკადემიური ხარისხის მინიჭების რეგულაციებსა და პროცედურებს; გარე შემფასებლების ჩართვას შეფასების პროცესში და მათი დასკვნების გათვალისწინებას; საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შეფასებასა და ყოველწლიური ანგარიშებს; სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის შესახებ ბსტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინებას (სტუდენტთა გამოკითხვას); აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ზრუნვას; სასწავლო რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სტუდენტთა მომსახურების მექანიზმების არსებობას და სხვ.

რაც შეეხება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მიმართებას წარმატებულ ევროპულ მოდელებთან, ძირითად პრობლემად უნდა ჩაითვალოს „ხარისხის კულტურის არქონა“ და უსდ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტების ნაკლები ჩართულობა ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემებს დეტალურად განვიხილავთ დოკუმენტის შემდგომ თავში: „არსებული სიტუაციის შეფასება“.

## 2. არსებული სიტუაციის შეფასება

### 2.1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების შემოღება უკავშირდება 2003 წელს ქვეყანაში მომხდარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ და ბოლონის პროცესში ჩართვას 2005 წელს. ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა, რამაც ბიძგი მისცა მთელ რიგ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესები საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა.

ხარისხის გარე უზრუნველყოფა საქართველოში თავდაპირველად გულისხმობდა ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას. ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი 2004 წელს დაიწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ხოლო 2006 წლის 27 მარტს ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №222 ბრძანებით, დაფუძნდა

სსიპ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური, შემდგომში - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, რომელიც უფლებამოსილი იყო, განხორციელებინა ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2004-2010 წლებში საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო იყო ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის გავლა. ლიცენზირებას ახორციელებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო აკრედიტაციას - სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. ახლადლიცენზირებული უსდ 5 წლის მანძილზე ფუნქციონირებდა აკრედიტებულის რეჟიმში.

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ბაზაზე 2010 წელს დაარსდა მისი უფლებამონაცვლე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.<sup>12</sup> აღნიშნული ცვლილება 2010 წლის 1 სექტემბრის “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა (ცენტრის მისიის, მიზნებისა და ფუნქციების შესახებ დეტალურად იხ.: თავი „საკითხის დასმა - ჰიპოთეტური მოდელი“).

2010 წელს ”უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სავალდებულო ლიცენზირების ნაცვლად შემოღებული იქნა ავტორიზაციის პროცედურა, ხოლო აკრედიტაციის შინაარსი კი შეიცვალა. 2010 წლიდან იგი ადგენს აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

ავტორიზაცია სავალდებულოა, ხოლო აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, თუმცა მის მიმართ უსდ-ების ძალიან დიდ ინტერესს განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს (აღნიშნულ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით).

აღსანიშნავია, რომ 2007-2008 წლამდე აკრედიტებულის რეჟიმში ფუნქციონირებდა 119 უსდ, ხოლო ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად მათი რაოდენობა შემცირდა 43-მდე (მათგან 15 სახელმწიფო იყო, ხოლო 28 - კერძო). 2007 წლიდან მოყოლებული ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა და თანდათანობით კვლავ იმატა სახელმწიფოს მიერ აღიარებული უსდ-ების რიცხვმა.<sup>13</sup> 2010 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ავტორიზებული უსდ-ების რაოდენობამ 64 შეადგინა (25 უნივერსიტეტი, 28 სასწავლო

<sup>12</sup> იხ.: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანება N89/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

<sup>13</sup> სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა 2007-2009 წლებში აკრედიტებული დაწესებულებების ზუსტი რაოდენობის დადგენა.



უნივერსიტეტი, 11 კოლეჯი. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ინფორმაცია რამდენია მათგან სახელმწიფო, ხოლო რამდენი - კერძო).<sup>14</sup> 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით კვლავ 64 უსდ-ა ავტორიზებული (26 უნივერსიტეტი, 30 სასწავლო უნივერსიტეტი, 8 კოლეჯი. მათგან 18 სახელმწიფოა, ხოლო 46 - კერძო).<sup>15</sup>

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რამ განაპირობა ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემის შემოღების შემდეგ სახელმწიფოს მიერ აღიარებული უსდ-ების რაოდენობის მკვეთრი შემცირება, ხოლო შემდეგ მისი ზრდა. აღნიშნულ კითხვაზე რამდენიმე პასუხი შეიძლება გაიცეს:

ა) ინსტიტუციური აკრედიტაციით განსაზღვრული მოთხოვნები თავდაპირველად მეტისმეტად მკაცრი და რთულად შესასრულებელი აღმოჩნდა საქართველოს უსდ-ებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განათლების სფეროში საკმაოდ ლიბერალური და ნაკლებ მომთხოვნი სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში ფუნქციონირებდნენ. ინსტიტუციური აკრედიტაციის პირველი, ერთგვარი „შოკის“ შემდგომ, მათ მიიღეს სათანადო ზომები თავიანთი ინსტიტუციური განვითარებისთვის და დღეისათვის ავტორიზაციის პირობებსაც წარმატებით აკმაყოფილებენ;

ბ) შესაძლებელია გაჩნდეს ეჭვი, რომ ავტორიზაციის სტანდარტი ინსტიტუციური აკრედიტაციის მოთხოვნებთან შედარებით უფრო მარტივია, თუმცა ამ დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურა 2010 წლიდან არათუ გამარტივდა, არამედ, პირიქით, გათულდა კიდევ (დეტალურად იხ. ქვემოთ).

გ) შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ თუმცა ავტორიზაციის სტანდარტები საკმაოდ მომთხოვნიან, თავად პროცესი არის ლიბერალური და ბევრი ისეთი უსდ იღებს ავტორიზაციას, რომლებიც უფრო მკაცრი შეფასების პირობებში ხარისხის შესაბამის სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებდნენ.

ვფიქრობ, ხარისხის გარე უზრუნველყოფის არსებული სისტემის პირობებში, ავტორიზებული უსდ-ების რაოდენობის ზრდა განპირობებულია როგორც თავად დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების უფრო მაღალი ხარისხით, ისე შეფასების პროცესის ცალკეული ხარვეზებით, რომელთა შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებ.

2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა უმაღლესი განათლების რეფორმის შეფასების მიზნით. კვლევის შედეგები ნაწილობრივ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემასაც შეეხო.

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად მიჩნეული იქნა ნდობის სიმცირე ქართული უსდ-ების მიმართ, ხოლო ამ პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ

<sup>14</sup> მონაცემები ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში, „ხარისხიანი უმაღლესი განათლებისთვის“, 2006 წელი; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში, 2010 წელი.

<sup>15</sup> იხ.: <http://eqe.ge/geo/register/heis>. საინტერესოა შემდეგი მონაცემებიც: 2010-2013 წლებში ავტორიზაცია მიენიჭა 39 უსდ-ს, ავტორიზაციაზე უარი ეთქვა 14-ს, ხოლო ავტორიზაცია გაუუქმდა 7-ს.

პერსპექტიულ საშუალებად კი დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების გარანტი. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები: ა) ფორმალურად ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მაგრამ საჭიროა აქტივობათა შინაარსობრივი გააზრება და ხარისხის რეალური კონტროლი; ბ) საჭიროა უნივერსიტეტების ავტონომიურობის ზრდა ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების პროცესში.<sup>16</sup>

ჯერ კიდევ აღნიშნული კვლევის ჩატარებამდე, 2006-2007 წლებში, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრმა სცადა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის რეფორმირება და პროგრამული აკრედიტაციის შემოღება, თუმცა ორივე მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა (საყურადღებოა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 2004 წლის რედაქციით, პროგრამული აკრედიტაცია 2007 წელს უნდა დაწყებულიყო, რაც 2010 წლამდე ვერ მოხერხდა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის, შესაბამისი ინტელექტუალური რესურსების ნაკლების გამო).

როგორც უკვე აღინიშნა, 2010 წელს ლიცენზირება ჩანაცვლდა ავტორიზაციით, ხოლო ინსტიტუციური აკრედიტაცია კი - აკრედიტაციით. ავტორიზაციის სტანდარტი მიზნად ისახავს დაწესებულების შეფასებას მისი მისიიდან გამომდინარე (რისი ჩანაფიქრიც ჯერ კიდევ 2007 წელს არსებობდა), თუმცა საკამათოა, რამდენად ხდება დასახული მიზნის მიღწევა.

2006-2009 წლებში ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების საფუძველზე: ფართის მოცულობა, ფართისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა, კანონით განსაზღვრული საბაკალავრო სპეციალობები, კომპიუტერებისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა, ბიბლიოთეკა და ვებგვერდი. გარდა ამისა, შეფასების პროცესში გამოიყენებოდა შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები: სასწავლო-სამეცნიერო ინვენტარი, სასწავლო გეგმები, სრულყოფილი ბიბლიოთეკა, სრულყოფილი ვებგვერდი, დაწესებულების საქმიანობის ორგანიზაცია.<sup>17</sup>

ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროექტის ე.წ. GEDA-ს ფარგლებში შემუშავდა ე.წ. მისიაზე ორიენტირებული ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების, ხოლო ტემპუსის პროექტის „აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში“ ეგიდით შეიქმნა პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების სამუშაო ვერსიები. ორივე დოკუმენტი დაეფუძნა აკრედიტაციის ევროპულ და ამერიკულ

<sup>16</sup> უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონის პროცესის ინდიკატორების მიხედვით), განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008.

<sup>17</sup> დეტალურად იხ.: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 11 ნოემბრის N618 ბრძანება „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის წესის დებულებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;

სტანდარტებსა და მათ შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი უცხოელი ექსპერტები მონაწილეობდნენ. ორივე დოკუმენტი სავსებით აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს, იმავდროულად ითვალისწინებდა საქართველოს სპეციფიკას და მიმართული იყო როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული განვითარებისკენ. მიუხედავად ამისა, არ მოხდა არც ერთი დოკუმენტის დამტკიცება და ამოქმედება. აღსანიშნავია ერთი პრინციპული საკითხი: როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების ზემოთ აღნიშნული ვერსიები ითვალისწინებდა როგორც სტანდარტებს, ისე შეფასების ინდიკატორებს და შემოწმების წყაროებს, რაც ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესს გაცილებით უფრო გამჭვირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს გახდიდა და რასაც დღეს არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

## 2.2. ავტორიზაცია

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაცია არის „უსდ-ს სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 2, ბ<sup>1</sup>).<sup>18</sup>

უსდ-ების ავტორიზაცია ხდება სამი ძირითადი სტანდარტის მიხედვით: უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური და ადამიანური რესურსი.<sup>19</sup> გარდა ამისა, თითოეული სტანდარტი შედგება ერთგვარი ქვესტანდარტებისგან, რომლებიც შეეხება: სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს (ფართს,

<sup>18</sup> აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა უშვებს გამოწვევებს: „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ამ კანონის საფუძველზე დაფუძნებული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2015 წლის 1 იანვრამდე ითვლება ამ კანონის შესაბამისად ავტორიზებულად. 2015 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ექვემდებარება ავტორიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 89<sup>4</sup>).

<sup>19</sup> ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება შემდეგი საკითხები: ავტორიზაციის სტანდარტები და ქვესტანდარტები; ავტორიზაციის ჩატარების წესი: ავტორიზაციის პროცესი, საავტორიზაციო განაცხადი, თვითშეფასება, ავტორიზაციის მამიებლად ცნობა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, საავტორიზაციო ვიზიტი, დასკვნა, ზეპირი მოსმენა, ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა, ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ, გადაწყვეტილება ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ; ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგები: ავტორიზაციაზე უარის თქმისა და ავტორიზაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგები, დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგები; სტანდარტების შესრულების მონიტორინგი: თვითშეფასების წარმოდგენა, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის გზით საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წესი, შემოწმება, ავტორიზაციის გაუქმება.

ინვენტარს, ბიბლიოთეკასა და სხვ.), საქმის წარმოებას, პერსონალის მართვასთან, სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასა და სხვ.

შემუშავებულია, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულია და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციები“, რომლებშიც განმარტებულია ავტორიზაციის სტანდარტების ცალკეული პუნქტები, მოყვანილია შეფასების შესაძლო ინდიკატორები და არსებული ვითარების შემოწმების შესაძლო წყაროები.<sup>20</sup> უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი სასარგებლო და გამოსადეგია მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე კი იძლევა მხოლოდ ფორმალური ხასიათის ორაზროვან და ზედაპირულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება არ არის საკმარისი ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტის ცალკეული პუნქტების უკეთ გასააზრებლად.

დღემდე არ ჩატარებულა არც ერთი კვლევა, რომლის მიზანიც ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურის შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარის გამოკვეთა, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა იქნებოდა. თუმცა, ვინაიდან ავტორიზაციის ის სტანდარტი, რომელიც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, ისევე, როგორც ავტორიზაციის ჩატარების წესი არსებითად ემთხვევა აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამის პუნქტებსა და აკრედიტაციის ჩატარების წესს, შესაძლებელია, ავტორიზაციის შეფასების, პრობლემების გამოკვეთისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების დროს გამოვიყენოთ ის კვლევა, რომელიც ჩატარდა ტემპუსის ერთ-ერთი პროექტის ეგიდით, შეეხებოდა აკრედიტაციას და რომელსაც ქვემოთ საკმაოდ დეტალურად მიმოვიხილავთ.

ქართველი ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე კი საგანგებოდ შევხები ავტორიზაციის პროცესის შესაძლო შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლება არ მიენიჭოს, ან გაუუქმდეს ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი არ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს („საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/წ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 26). აღნიშნულის საფუძველზე, დაწესებულებას შეიძლება არ მიენიჭოს ან გაუუქმდეს ავტორიზაცია მხოლოდ იმიტომ, რომ, მაგალითად, თვალსაჩინო ადგილას არა აქვს გამოკრული ევაკუაციის გეგმები (თუმცა ამ დროს ევაკუაციის გეგმები შეიძლება არათვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყოს), ან განცხადება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ განთავსებული იყოს მხოლოდ ვებგვერდზე და არ იყოს გავრცელებული ბეჭდური მედიის

<sup>20</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N188 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“.

საშუალებითაც, ან ერთ-ერთ სილაბუსში მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა არ დაემთხვეს სასწავლო გეგმაში აღნიშნული საათების რაოდენობას და სხვ.

ავტორიზაციის სტანდარტებითა და რეკომენდაციებით დადგენილი მოთხოვნები, რა თქმა უნდა, აუცილებელია უსდ-ს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, თუმცა ამ მოთხოვნათა ნაწილი ცალსახად არ უკავშირდება სწავლებისა და კვლევის ხარისხს. შესაძლებელია, რომ ესა თუ ის დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდეს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს და აწარმოებდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კვლევებს, მაგრამ მას ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის მომენტში თვალსაჩინო ადგილას არ ჰქონდეს გამოკრული ევაკუაციის გეგმა ან რომელიმე სასწავლო გეგმაში დაშვებული ჰქონდეს ტექნიკური ხარვეზი. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ განისაზღვროს ავტორიზაციის ე.წ. ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები (რისი გამოცდილებაც არსებობს) და რომელიმე დამატებითი კრიტერიუმის ვერ-დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაწესებულებას მიენიჭოს პირობითი ავტორიზაცია. ინსტიტუციას განესაზღვროს გარკვეული ვადა (მაგალითად, სამიდან ექვს თვემდე, შესაძლებელია ერთი წელიც), რომლის განმავლობაშიც მან უნდა გამოასწოროს იდენტიფიცირებული ხარვეზები.<sup>21</sup> ამ შემთხვევაში ავტორიზაცია რეალურად იქნება ხარისხის განვითარების მექანიზმი და არა სადამსჯელო ღონისძიება, როგორც ხანდახან მოიაზრება ქართული საზოგადოების მიერ, ცალკეულ შემთხვევებში მეტისმეტი სიხისტისა თუ არაგამჭვირვალობის გამო. *პირობითი ავტორიზაციის შემოღება ხელს შეუწყობს აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უფლებების დაცვას, რომ მარტივად გამოსწორებადი ხარვეზების გამო არ შეილახოს მათი უფლებები.*<sup>22</sup>

ავტორიზაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამს შენიშვნებს, რომლებიც შეეხება მის შინაარსსა და მიზანდასახულობას. კერძოდ, ავტორიზაცია არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა ფუნქციონირებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლება, მაგრამ ავტორიზაცია თითქმის არ ითვალისწინებს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების შეფასებასა და ხელშეწყობას (თუმცა თეორიულად ის უსდ-ს მისიაზეა ორიენტირებული). ანუ ხარისხის გარე უზრუნველყოფის მერთ-ერთი ძირითადი მიზანი - ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება - საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მიიღწევა.

ინსტიტუციური განვითარების ასპექტების უკეთ გასააზრებლად კვლავ ესტონეთის გამოცდილება შეიძლება გავითვალისწინოთ. ესტონური კანონმდებლობის თანახმად, „ინსტიტუციური აკრედიტაცია არის გარე შეფასება, რომლის დროსაც უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტო აფასებს უნივერსიტეტებისა და პროფესიული უმაღლესი

<sup>21</sup> არსებობს მოსაზრება, რომ პირობითი ავტორიზაცია-აკრედიტაცია მიენიჭოს უსდ-ს და/ან საგანმანათლებლო პროგრამას პირველად ამოქმედებისას და განესაზღვროს ხუთწლიანი ვადა ავტორიზაცია-აკრედიტაციის მოსაპოვებლად, რაც ასევე შეიძლება განხორციელდეს.

<sup>22</sup> ესტონეთში პირობითი აკრედიტაციის ნაცვლად გამოიყენება აკრედიტაციის მინიჭება არა შვიდი, არამედ მხოლოდ სამი წლით.

განათლების დაწესებულებების მენეჯმენტის, ადმინისტრაციის, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სასწავლო და სამეცნიერო გარემოს შესაბამისობას კანონმდებლობასთან ისევე, როგორც უსდ-ს განვითარების გეგმებთან. ინსტიტუციური აკრედიტაციის მიზნებია: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტრატეგიული მენეჯმენტისა და ხარისხის კულტურის განვითარების მხარდაჭერა, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება უსდ-ების საქმიანობის ძირითად შედეგებზე და ესტონეთის უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის ამაღლება“ („ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობები და პროცედურა“, I. 2).

ესტონეთში ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდება შემდეგი სფეროებისა და ქვესფეროების (assessment area and sub-area) აღწერის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე: **1. ორგანიზაციული მენეჯმენტი და საქმიანობის შედეგები (performance):** ზოგადი მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ფინანსური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მენეჯმენტი; **2. სწავლა და სწავლება:** სწავლა-სწავლების ეფექტურობა, სტუდენტთა კორპუსის ფორმირება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სტუდენტთა აკადემიური წინსვლა და სტუდენტთა შეფასება, სასწავლო პროცესის მხარდაჭერა; **3. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა:** კვლევის, განვითარებისა და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობა, რესურსები და მხარდაჭერა, სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ხელმძღვანელობა და სადოქტორო განათლება; **4. საზოგადოების სამსახური:** უსდ-ს ძირითადი საქმიანობის პოპულარიზაცია და უსდ-ს ჩართულობა სოციალური განვითარების პროცესში, დასაქმებულთა გადამზადება და ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა, საზოგადოებაზე ორიენტირებული სხვა აქტივობები (დეტალურად იხ.: „ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობები და პროცედურა“, II. 7).

ესტონეთის „ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობებისა და პროცედურების“ მეორე თავის მეშვიდე მუხლი საგანგებოდ ეთმობა შეფასების ზემოთ აღნიშნული სფეროებისა და ქვესფეროების როგორც ჩამონათვალს, ისე დეტალურ განმარტებას, ხოლო ამავე დოკუმენტის დანართის სახით წარმოდგენილია როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე მათი შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. ამგვარი დეტალიზაცია მინიმუმამდე ამცირებს ექსპერტთა მხრიდან სუბიექტური და არაერთგვაროვანი შეფასების ალბათობას, რასაც საქართველოში მოქმედი ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად მიიჩნევენ ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი არც ავტორიზაციის და არც აკრედიტაციის სტანდარტი სათანადო ყურადღებას არ უთმობს უსდ-ს ზოგადი და განსაკუთრებით ფინანსური მენეჯმენტის ასპექტებს. და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ფაქტობრივად, იგნორირებულია უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მისი როლი საზოგადოების განვითარების პროცესში.

*ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასურველია, ავტორიზაციის მიზნები და შინაარსი გაფართოვდეს. მის შედეგად მოხდეს არა მხოლოდ უსდ-ს ფუნქციონირების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მოპოვება, არამედ ავტორიზაციის ფარგლებში განხორციელდეს უსდ-ს ინსტიტუციური განვითარების შეფასება*

და ხელშეწყობა (მაგალითად, ისეთი სტანდარტების შემოღებით, როგორებიცაა ორგანიზაციული მენეჯმენტი და საქმიანობის შედეგები (performance); კვლევა, განვითარება და/ან სხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობა; საზოგადოების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.). დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში შესაძლებელია ტერმინები „ავტორიზაცია“ და „აკრედიტაცია“ ჩანაცვლდეს მათი შინაარსის უკეთ გამომხატველი „ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციით“.

### 2.3. აკრედიტაცია

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აკრედიტაცია არის „აკრედიტაციის სტანდარტებთან უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება“<sup>23</sup> („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 2, თ).<sup>24</sup>

აღსანიშნავია, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი უარყოფითად აფასებს უსდ-ების მიერ დაფინანსების უფლების მოპოვებას აკრედიტაციის საფუძველზე, რადგან აღნიშნულმა პროცესმა შეიძინა ფორმალური ხასიათი და ვერ იქცა ხარისხის განვითარების რეალურ მასტიმულირებელ ძალად, რასაც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს. 2011-2013 წლებში აკრედიტაცია მიენიჭა 1267 საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო აკრედიტაციაზე უარი ეთქვა მხოლოდ 40-ს. აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა (აკრედიტაციასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ხარისხის ცენტრისა და ზოგადად საქართველოს ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ვადების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საფუძვლიან ეჭვს ბადებს მის ხარისხთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, **სასურველია, რომ სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების უფლება მოხდეს ავტორიზაციის საფუძველზე, ხოლო აკრედიტაცია იქცეს ხარისხის რეალური შეფასებისა და მისი რეალური განვითარების სტიმულად.**

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაფინანსებისა და აკრედიტაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა საშუალებას მოგვცემს, რომ აკრედიტაციის საბჭოს უარყოფითი დასკვნა გასაჩივრდეს არა სასამართლოში, არამედ კოლეგიალურ ორგანოში, ანუ **სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული სადავო, შინაარსობრივი და კონცეპტუალური საკითხების განხილვა მოხდეს არა ადმინისტრაციული წარმოებით, არამედ დარგის სპეციალისტებისგან**

<sup>23</sup> იგულისხმება რეგულირებადი სპეციალობები და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები.

<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრედიტაციის წესი არ ვრცელდება მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უსდ-ს მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 63, 1<sup>1</sup>).

**დაკომპლექტებულ სააპელაციო კომისიაში**, როგორც ეს ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობასა და ნაწილობრივ ესტონეთშიც ხდება.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია დაიწყო 2011 წლის ზაფხულში, ხოლო აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურის შემუშავება და დამტკიცება მოხდა 2010 წელს. საქართველო მონაწილეობდა ე.წ. ტვინინგის პროექტში, რომელიც ეფუძნებოდა „ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტს“, „საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო პროგრამა 2007–2010“.<sup>25</sup> პროექტში ჩართული იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (შემდგომში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი) და ევროპელი პარტნიორები. სწორედ პროექტის სამუშაო პერიოდში შემუშავდა პროგრამული აკრედიტაციის კრიტერიუმები და პროცედურა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი არსებითად განსხვავდება საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილებისაგან (დეტალური შეფასება იხ. ქვემოთ), ამ დოკუმენტების შექმნაში ევროპელი ექსპერტების რეალური მონაწილეობა ეჭვქვეშ დგება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია ხდება რამდენიმე ძირითადი სტანდარტის მიხედვით: 1) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 2) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; 3) სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.<sup>26</sup>

2011 წლის სექტემბერში ტემპუსის პროექტის ფარგლებში („ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“) მოხდა აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცესის შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ (კერძოდ, შეფასების პროცესში მონაწილეობდნენ: მაიკლ მაიერი, ლინდა ტე მარველადე, მელისა ფრედერიკი).<sup>27</sup>

შეფასების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- აკრედიტაციის პროცესი არის პროცედურაზე ორიენტირებული, რთული და, შესაძლოა, სუბიექტურიც კი;

<sup>25</sup> <http://www.mes.gov.ge/content.php?id=84&lang=eng>.

<sup>26</sup> აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება N65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება შემდეგი საკითხები: აკრედიტაციის სტანდარტები, ქვესტანდარტები, აკრედიტაციის ჩატარების წესი, სააკრედიტაციო განაცხადი, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, მისი შემადგენლობა, სააკრედიტაციო ვიზიტი და დასკვნა, ზეპირი მოსმენა, აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობა, აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგი, აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა, აკრედიტაციის გაუქმება, აკრედიტაციის საფასური.

<sup>27</sup> ჩატარებული კვლევის სრული ანგარიში ხელმისაწვდომია პროექტის ვებგვერდზე: [http://www.picqa.org/en/Portals/0/2.3%203.3%20NCEOE%20report\\_%20final%202012-06-12.pdf](http://www.picqa.org/en/Portals/0/2.3%203.3%20NCEOE%20report_%20final%202012-06-12.pdf).



- აკრედიტაციის სტანდარტები არ არის მკაფიოდ ფორმულირებული და გასაგები;
- აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს მეტისმეტად სწრაფად, რაც უარყოფითად აისახება მის ხარისხზე.

ვიზიტისა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებული დასკვნები შემდეგნაირად დაჯგუფდა:

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხარისხის უფრო დეტალური კრიტერიუმების შექმნის საჭიროება;
2. ექსპერტთა ჯგუფის დამოუკიდებლობა;
3. პროგრამული აკრედიტაციის პროცესზე ორიენტირებული მიდგომიდან შინაარსზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა.

ევროპელმა ექსპერტებმა წარმოადგინეს მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურას. კერძოდ:

**სტანდარტი: საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

*პროგრამების კავშირი შრომით ბაზართან:* შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სიტემების მეშვეობით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ უკუკავშირი დასაქმების ბაზრისგან მათი პროგრამების შიგთავსის რელევანტურობასთან დაკავშირებით. ასეთი შეიძლება იყოს კურსდამთავრებულთა ქსელი.

*დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა:* ეს კრიტერიუმი უნდა დაკონკრეტდეს. მნიშვნელოვანია დამსაქმებლებისა და მასწავლებლების მონაწილეობა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. სხვა დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, სტუდენტები) ჩართულნი უნდა იყვნენ პროგრამის შეფასებაში.

**სტანდარტი: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

*სწავლების მეთოდები:* ექსპერტებისათვის საჭიროა სწავლების მეთოდების შეფასების კრიტერიუმების დადგენა.

**სტანდარტი: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

*აკადემიური პერსონალი:* შეფასებისას ხაზი გაუსვით კვლევას და ყოველთვის აღნიშნეთ ეს საბოლოო ანგარიშში: მონაწილეობს თუ არა აკადემიური პერსონალი კვლევაში და არის თუ არა ეს კვლევა კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი (ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით აქტუალურია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. ი.დ.).

**სტანდარტი: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

**სწავლების ხარისხი:** შინაარსზე ორიენტირებული შეფასებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის მიღწევები.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფაში უნდა იყოს გააქტიურებული რეგულარული / პერიოდული შეფასებების მეშვეობით.

### **პროცედურები**

**აკრედიტაციის პროცედურა:** სასურველია ვადების გაზრდა პროცესის დაწყებიდან დამთავრებამდე ერთი წლის ვადით. მას შემდეგ, რაც უსდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს, უნდა გავიდეს სულ მცირე რამდენიმე თვე აკრედიტაციის საბჭოს სხდომამდე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექსპერტთა საკმარისი რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფში, ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო ვიზიტისათვის მოსამზადებლად და ვიზიტის შემდეგ შეფასების დასაწერად.<sup>28</sup>

**თვითშეფასება:** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ექსპერტთა საბჭოსთან ერთად უნდა უზრუნველყოს გეგმის შემუშავება უფრო შინაარსზე ორიენტირებული თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენისათვის.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა დააკონკრეტოს ის რაოდენობრივი მონაცემები, რომელთა ხილვაც სურს დანართებად.

ექსპერტებისათვის რთულია პროგრამის განხილვა კონკრეტულ კონტექსტში, რადგან დარგობრივი მახასიათებლები (ათვის წერტილები) დამტკიცებულია მხოლოდ რეგულირებადი პროფესიებისათვის (სამართალი, მედიცინა, პედაგოგიკა).

თვითშეფასების ანგარიშში მოთხოვნილი უნდა იქნეს SWOT ანალიზი.

**საკრედიტაციო განაცხადი:** შინაარსზე ორიენტირებული თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის ერთადერთი გზა არის კრიტერიუმების დაკონკრეტება.

**ექსპერტების დამოუკიდებლობა:** უნდა შეიქმნას ექსპერტის დამოუკიდებლობის განაცხადი, რომელსაც ხელს აწერს ექსპერტი.

**ექსპერტთა ჯგუფის შექმნა:** შეფასების პროცესში უნდა მოხდეს უცხოელი ექსპერტების გამოყენება;

---

<sup>28</sup> მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტოს მიერ დადგენილი ვადები: უსდ-სა და ხარისხის სააგენტოს მიერ ექსპერტების ვიზიტზე შეთანხმება ვიზიტამდე 9-12 თვით ადრე; თვითშეფასების ანგარიშის გაგზავნა უსდ-ს მიერ ექსპერტების ვიზიტამდე არაუგვიანეს 6 თვისა; თვითშეფასების განხილვა ორი კვირის ვადაში და საჭიროების შემთხვევაში მისი გაგზავნა უსდ-სთვის სრულყოფის მიზნით; თვითშეფასების კორექტირებული ვარიანტის გაგზავნა უსდ-ს მიერ; საექსპერტო ჯგუფის ფორმირება დაგეგმილ ვიზიტამდე არაუგვიანეს 6 თვისა; ვიზიტამდე ერთი თვით ადრე ექსპერტებთან უსდ-ს საკონტაქტო პირის განსაზღვრა; საექსპერტო ჯგუფის დასკვნის წარდგენა ხარისხის სააგენტოში ვიზიტიდან 4 კვირის ვადაში; უსდ-ს მიერ კომენტარების გაგზავნა საექსპერტო დასკვნაზე მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში; ექსპერტთა საბოლოო დასკვნის გაგზავნა უსდ-სთვის ვიზიტიდან 8 კვირის ვადაში; ხარისხის შეფასების საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დასკვნის მიღებიდან სამი თვის ვადაში. რაც შეეხება თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას, დასავლური უსდ-ები ამ პროცესს წელიწადზე მეტხანს ანდომებენ.

**ვიზიტის ხანგრძლივობა:** ცენტრი ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს ექსპერტთა რაოდენობასა და ვიზიტის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. თუ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, შეფასება შეიძლება გადაიდოს.

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა:** ცენტრმა უნდა დაადგინოს უფრო მკაცრი წესები ექსპერტთა ჯგუფში ექსპერტთა რაოდენობასა და ფუნქციასთან (სტუდენტი, დამსაქმებელი, ექსპერტი) დაკავშირებით და უნდა უზრუნველყოს ამ პროცედურების დაცვა. ცენტრმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ჯგუფის წევრთა როლი, აცნობოს წინასწარ ექსპერტებს და დეტალურად აუხსნას, რა ფუნქცია ექნება თითოეულ მათგანს.

**აკრედიტაციის ვიზიტი:** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები არ უნდა მონაწილეობდნენ ექსპერტთა ჯგუფში.<sup>29</sup>

**ექსპერტთა დასკვნა:** ექსპერტთა ჯგუფმა უნდა მიიღოს სპეციალური ინსტრუქცია, რათა არ განიხილოს მის მიერ აღმოჩენილი უზუსტობები პროგრამის წარმომადგენლებთან ერთად.

**ზეპირი მოსმენა:** გადაწყვეტილების მიღების წესები უნდა გახდეს მკაფიო.

აკრედიტაციის საბჭო იმართება ყოველ პარასკევს. მიზანშეწონილია ამ ვადის გაზრდა 2 თვემდე.

**აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები:** განხილული უნდა იქნეს პირობითი აკრედიტაციის საკითხიც რაღაც პირობების დათქმით, რომლებიც უსდ-მ უნდა შეასრულოს 1 წლის განმავლობაში.

**შემდგომი რეკომენდაციები:** გარდა რეკომენდაციების გათვალისწინების ასახვისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა მოეთხოვოთ მათი პროგრამების სპეციფიკურ შინაარსზე ორიენტირებული ასპექტების ცენტრისათვის გაცნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ექსპერტების დასკვნები არსებითად ემთხვევა უმაღლესი განათლების სფეროს ქართველი სპეციალისტების, დაინტერესებული მხარეების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებებს აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით.

ხარისხის ცენტრმა 2013 წელს ჩაატარა საქართველოს უსდ-ების გამოკითხვა, რათა „უზრუნველყო თვლადი პარამეტრებით აკრედიტაციის პროცესით დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დონის განსაზღვრა, ასევე მათი შეფასებების მიღება აკრედიტაციის პროცედურის ცალკეულ სადავო საკითხებთან დაკავშირებით“.

<sup>29</sup> აღსანიშნავია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სცადა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება, თუმცა ამ მცდელობამ პოზიტიური შედეგი არ მოგვცა. მხოლოდ ექსპერტების მონაწილეობით პროცესები წარიმართა არაორგანიზებულად და პრობლემა შეიქმნა საბოლოო დასკვნის წარმოდგენასთან დაკავშირებით. ამდენად, შესაძლებელია აღნიშნული პრაქტიკის შენარჩუნება, ოღონდ შეფასების პროცესში ცენტრის თანამშრომლების ფუნქციების მკაფიო განსაზღვრით, რათა მან მოახდინონ მხოლოდ პროცესების ადმინისტრირება და არ მოახდინონ გავლენა ექსპერტების გადაწყვეტილებაზე. ამ საკითხშიც შესაძლებელია ესტონური გამოცდილების გაზიარება. ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესში თითოეულ საექსპერტო ჯგუფს ჰყავს დამხმარე ფუნქციის მქონე კოორდინატორი, სააგენტოს თანამშრომელი, რომელიც არ არის საექსპერტო ჯგუფის წევრი და რომელსაც ევალება შეფასების პროცესის ორგანიზაციული მენეჯმენტი.

ხარისხის ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი პრობლემები: აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესების ერთმანეთში აღრევა, კომპეტენტური კადრის სიმცირე, აკადემიური პერსონალის კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ სამეცნიერო მოღვაწეობით, დაინტერესებული მხარეების ფორმალური მონაწილეობა, ამა თუ იმ პროგრამის შეფასების გამჭვირვალე ერთიანი სტანდარტების არარსებობა, ახალი პროგრამის აკრედიტაციის ფორმალურობა, აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენცია, კონკრეტული დარგის ექსპერტების სიმცირე, აკრედიტაციის საფასურის ნიხრების ალოგიკურობა, სწავლების საფეხურის აკრედიტაციით დამატების შეუძლებლობა, ექსპერტის სუბიექტური (არათანაბარი) მიდგომა, ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა, საქართველოს შრომის ბაზრის კონიუნქტურა, კონკრეტული დარგების მიმართ დაწესებული სტანდარტების და მოთხოვნების არარსებობა, კურსდამთავრებულებთან კონტაქტების ნაკლებობა ან არარსებობა, რუსულენოვანი ლიტერატურის სიჭარბე ცალკეულ დარგებში, ამა თუ იმ მიმართულების, დარგის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა შეფასების პროცესში და სხვ.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესების გზები: პრობლემების განხილვა სამუშაო შეხვედრებზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის შექმნა, ექსპერტთა კომპეტენციის ამაღლება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, პირობითი აკრედიტაციის შემოღება, საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის ორგანიზება, უცხოელი ექსპერტების ჩართულობა, ხარისხის განვითარების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, შეფასების წყაროების დახვეწა, უსდ-ებისთვის ტექნიკური ხარვეზების გამოსწორების უფლების მიცემა, უსდ-ების მონიტორინგი აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, უკუკავშირი ექსპერტების მუშაობასთან მიმართებაში, დარგობრივი აკრედიტაციის საბჭოების შექმნა, თვითშეფასების ანგარიშების სრულყოფა, სხვადასხვა სტანდარტის შემუშავება ახალი და მოქმედი პროგრამებისთვის, პროგრამის ფინანსური მდგრადობის სტანდარტის სრულყოფა, პროგრამის შეფასების სისტემის ეფექტურობის დადასტურება შეფასების შედეგებით, დასაქმების ბაზრის რეგლამენტაცია რიგ პროფესიებში და სხვ. (დეტალურად იხ.: ხარისხის ცენტრის კვლევის შედეგები).

ნიშანდობლივია, რომ არც ევროპელ ექსპერტთა ზემოთ წარმოდგენილ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, არც თავად ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს არსებითი რეაგირება ჯერჯერობით არ მოჰყოლია. შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ცენტრს მომავალში აქვს დაგეგმილი. კერძოდ, ცენტრი აპირებს შემდეგი აქტივობების განხორციელებას: სტრატეგიული გეგმის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ექსპერტთა ეთიკის შექმნა, ავტორიზაცია-აკრედიტაციის გზამკვლევებისა და შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება, ექსპერტთა კორპუსის გაზრდა, ხარისხის ცენტრის თანამშრომლების, ძველი და ახალი ექსპერტების გადამზადება, ENQA-ში გაწევრიანება და სხვ. (ამ მიმართულებებით მუშაობა უკვე დაწყებულია, თუმცა კონკრეტული შედეგები ჯერჯერობით მიღწეული არ არის).

თუ გავითვალისწინებთ ცენტრის ფუნქციების მრავალფეროვნებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განაცხადების დიდ რაოდენობას, ცენტრის თანამშრომლების გადატვირთულ გრაფიკს და საქმის მოცულობასთან შედარებით მწირ ადამიანურ რესურსს, ექვეყნებ დგება

ხარისხის ცენტრის გეგმებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმების განხორციელების რეალურობა (გეგმები არსებობს, მაგრამ ვერ ხორციელდება). *ამდენად, სასურველია გარკვეული პერიოდით (თუნდაც ექვსი თვით) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების შეჩერება - ერთგვარი მორატორიუმის დაწესება, ხოლო აღნიშნული დროის გამოყენება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების შინაარსობრივი რეფორმირებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ების უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებელი იქნება მათი წინასწარი ინფორმირება (ექვსი თვით ადრე მაინც) მოსალოდნელი მორატორიუმის შესახებ, ხოლო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, მოდერნიზებული სისტემები უნდა ამოქმედდეს მათი ოფიციალურად მიღებიდან არანაკლებ ერთი წლის ვადაში.*

უკვე იდენტიფიცირებული პრობლემებიდან საგანგებოდ შევჩერდები რამდენიმე მათგანზე, რომლებიც პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული აღნიშნული კვლევის პროცესში ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს.

✓ აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დასადგენად არ გამოიყენება მკაფიო და გაზომვადი ინდიკატორები, რაც სტანდარტების მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამცირებს ობიექტური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას; ძალიან ზოგადად და ზოგჯერ ბუნდოვნად ფორმულირებული სტანდარტები ცალკეულ შემთხვევებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ თვითნებური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა<sup>30</sup> (სხვათა შორის, შეფასების ინდიკატორები და შემოწმების წყაროები გათვალისწინებული იყო როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების სამუშაო ვერსიაში, რომელიც 2007 წელს ტემპუსისა და USAID-ის პროექტების ფარგლებში შეიქმნა);

✓ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შესაბამისობის მოთხოვნა როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე აკრედიტაციის ექსპერტების მიერ ხშირად მოიაზრება როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან კოპირების აუცილებლობა. შედეგად ვიღებთ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობებსა და სილაბუსებს, რომლებშიც უბრალოდ კოპირებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოს დებულებები, მათი არსის გააზრებისა და სწავლების შინაარსში მათი ასახვის გარეშე;

✓ აკრედიტაციის ექსპერტებს ზოგჯერ არ გააჩნიათ სპეციალური ცოდნა ისეთ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სწავლის შედეგები, კრედიტები, სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები. შედეგად, მათი დასკვნები ცალკეულ შემთხვევებში ეწინააღმდეგება როგორც განათლების მეცნიერებების უახლეს მიღწევებს, ისე ბოლონიის

<sup>30</sup> სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულია „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ (<http://ege.ge/geo/accreditation/guidelines>), რომელიც შემუშავებულია ზემოთ აღნიშნული ტვინინგის პროექტის ექსპერტებთან თანამშრომლობით. ვინაიდან ეს დოკუმენტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული არ არის, მასზე საგანგებოდ არ შევჩერდები. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ არც აღნიშნული დოკუმენტი განმარტავს კანონის იმ ბუნდოვან პუნქტებს, რომელთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამო ხშირად აკრედიტაციის პროცესის ობიექტურობა და სამართლიანობა ეჭვქვეშ დგება.

პროცესის ფარგლებში ევროპელი ექსპერტების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს, სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს;

✓ აკრედიტაცია ხდება დარგობრივი მახასიათებლების გარეშე (გამონაკლისია რეგულირებადი სპეციალობები), რაც ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის, საქართველოში სწავლების ხარისხის რეალურ შეფასებას და, ამდენად, ხელს ვერ შეუწყობს განათლების ხარისხის განვითარებას;

✓ აკრედიტაციის ექსპერტები ცალკეულ შემთხვევებში არ არიან იმ დარგის/ქვედარგის სპეციალისტები, რომელსაც აფასებენ.<sup>31</sup> შესაბამისი დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების არქონის გამო, მათ მიერ განხორციელებული შეფასება და შემუშავებული რეკომენდაციები ვერც სანდო იქნება და ვერც გასაზიარებელი; ცალკეულ დარგებში/ქვედარგებში ექსპერტების ნაკლებობა განპირობებულია საქართველოს აკადემიური საზოგადოების საკმაოდ შეზღუდული ადამიანური რესურსით და ცხადყოფს შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების მონაწილეობას აუცილებლობას;

✓ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში გამოიყენება ისეთივე სტანდარტი და მოთხოვნები, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების დროს არ ხდება დოქტორანტურის შინაარსობრივი და სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინება და, რაც მთავარია, კვლევის ხარისხის შეფასება;<sup>32</sup>

✓ ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც შეეხება კრედიტებსა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების მეთოდებს და რომლებიც ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესში გამოიყენება,<sup>33</sup> არის ხისტი და არ ითვალისწინებს სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა დარგის სპეციფიკას. ვინაიდან ამ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებით სარგებლობა სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ეს უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე მთელ რიგ სფეროებში;

<sup>31</sup> მაგალითად, იმისათვის, რომ შეაფასოს კლასიკური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა, არ არის საკმარისი, რომ ექსპერტი ფლობდეს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს. მას აუცილებლად მოეთხოვება კონკრეტულად კლასიკური ფილოლოგიის სფეროში სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

<sup>32</sup> აღსანიშნავია, რომ ესტონეთში დაგეგმილია სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია უსდ-ების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და განვითარების შეფასების კონტექსტში. საქართველოში კი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, ფაქტობრივად, უგულვებელყოფილია სადოქტორო განათლების კვლევითი ასპექტები.

<sup>33</sup> იგულისხმება შემდეგი დოკუმენტი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

✓ აკრედიტაციის სტანდარტი, რომელიც ეხება ადამიანურ რესურსს, არ აკონკრეტებს თუ რას გულისხმობს აკადემიური პერსონალის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, რაც მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და არ ქმნის სათანადო გარემოს აკადემიური კონკურსების ობიექტურად და სამართლიანად ჩასატარებლად, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად ჭეშმარიტად კვალიფიციური კადრებით;

აკრედიტაციის სტანდარტთან დაკავშირებული კონცეპტუალური პრობლემების უკეთ გასააზრებლად და მათ აღმოსაფხვრელად საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის პროგრამული აკრედიტაციის ესტონური სტანდარტი. მის თანახმად, „ხარისხის შეფასება უნდა იყოს მხარდამჭერი, განმავითარებელი და არა მაკონტროლებელი“. მისი მიზანია დადგენა იმისა, თუ როგორ ხდება პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება. შეფასება ხდება შემდეგი „სფეროების“ (area) მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამა და მისი განვითარება, მატერიალური რესურსები, სწავლება და კვლევა, ადამიანური რესურსი, სტუდენტები. ერთი შეხედვით, ესტონური სტანდარტი სავსებით შეესაბამება აკრედიტაციის იმ სტანდარტს, რომელიც საქართველოში მოქმედებს, მაგრამ პრინციპული სხვაობა არის ამ სტანდარტების ფორმულირებებში და იმ მეთოდებში, რომლებითაც ხდება შეფასება. კერძოდ, ესტონეთში ფასდება არა მხოლოდ დოკუმენტაცია და მისი შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან, არამედ თავად საგანმანათლებლო პროცესებიც და მათი მიმართება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების თვითშეფასების კითხვარი საშუალებას აძლევს უსდ-ს, რომ თავისი საგანმანათლებლო პროგრამები და მათი განხორციელების პროცესი შეადაროს სხვა მსგავს პროგრამებს უცხოურ უსდ-ებში, ვინაიდან სახელმწიფო დონეზეა აღიარებული, რომ „ესტონური უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი წინაპირობა არის საერთაშორისო კონტექსტისა და მისი ძირითადი ტენდენციების ცოდნა და მათთან დაკავშირება“ („უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება“, განმარტებითი მემორანდუმი).

როგორც ესტონეთის პროგრამული აკრედიტაციის განმარტებით მემორანდუმშია აღნიშნული, იმისათვის, რომ განიმარტოს სტანდარტების შინაარსი და მოხდეს „ანალიტიკური პროცესის უნიფიცირება“, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების კითხვარი მოიცავს მთელ რიგ კითხვებს. მათზე პასუხის გაცემით უსდ-ს უმარტივდება თვითშეფასების პროცესის განხორციელება და გარე შეფასებაც ერთიანი მიდგომით მიმდინარეობს, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ აფასებს პროგრამას.

რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებლებს, მათი არქონა ვერ ჩაითვლება მხოლოდ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ნაკლად, ვინაიდან როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში აღნიშნულ დოკუმენტებს ქმნიან არა საჯარო მოხელეები, არამედ შესაბამისი დარგობრივი სფეროს წარმომადგენლები, შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციები. ამდენად, დარგობრივი მახასიათებლების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება არა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, არამედ მთელი აკადემიური საზოგადოების პრობლემაა, რასაც განაპირობებს

საკუთარი მისიის ვერგაცნობიერება, დარგის განვითარების წინაშე პასუხისმგებლობის ნაკლებობა და ინერტულობა.

*ვინაიდან დარგობრივ მახასიათებლებთან მიმართებაში პროცესები ვერ წარმართა „ქვემოდან ზემოთ“, ისე სახელმწიფომ ან რომელიმე სხვა სტრუქტურამ (მაგალითად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა) უნდა მოახდინოს დარგობრივი მახასიათებლების შექმნის პროვოცირება და კოორდინირება. სასურველია ინვესტირება კერძო და სახელმწიფო სექტორის მხრიდან და დარგობრივი მახასიათებლების შექმნის პროცესის მატერიალური წახალისება (მაგალითად, შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებსაც დაევალებათ გონივრულ ვადაში აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება, ხოლო ეს სამუშაო იქნება ანაზღაურებადი).*

სახელმწიფო და კერძო ინვესტიციის განხორციელების გარდა, შესაძლებელია საერთაშორისო დონორების მოზიდვა. ამის პრეცედენტი უკვე არსებობს ტემპუსის პროექტის სახით „თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“.<sup>34</sup> საფუძვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ეგიდით მომზადებული დოკუმენტები,<sup>35</sup> ისე თუნინგის დარგობრივი მახასიათებლები<sup>36</sup>.

## 2.4. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების აუცილებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, რაც სრულ ჰარმონიაშია ბოლონის პროცესის ძირითად ამოცანებთან. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ავალდებულებს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომ მას როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის, სკოლის), ისე ინსტიტუციურ დონეზე ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 10, 2. დ; მუხლი 15, 4). საჯარო სამართლის იურიდიულ პირი უსდ-სა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტი, სკოლა) ერთ-ერთი მმართველი ორგანო, საქართველოს კანონმდებლობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 15, 2; მუხლი 15, 3), რომლის ხელმძღვანელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით (ინსტიტუციურ დონეზე) და ირჩევს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) საბჭო („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 18, 1, მ; მუხლი 21, 1, მ; მუხლი 28, ვ).

<sup>34</sup> პროექტის ანგარიშისთვის იხ.: <http://www.tempus.ge/files/Tuning/Tuningi09.10.09.pdf>.

<sup>35</sup> დეტალურად იხ.: <http://www.qaa.ac.uk/assuringstandardsandquality/subject-guidance/pages/subject-benchmark-statements.aspx>.

<sup>36</sup> თუნინგის მეთოდოლოგიისა და მისი გამოყენებით შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლებისთვის იხ.: <http://www.unideusto.org/tuning/>. თუნინგის გამოყენების როგორც დარგობრივი, ისე გეოგრაფიული არეალი თანდათანობით ფართოვდება. თუნინგი მოიცავს სამხრეთ ამერიკას, აფრიკას, რუსეთს, აშშ-ს. თუნინგი უკვე შეეხება საბუნებისმეტყველო, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ხელოვნებას, სადოქტორო განათლებას და სხვ.



საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 21, 1, მ; მუხლი 25; მუხლი 31), ხარისხის უზრუნველყოფას როგორც ინსტიტუციურ, ისე საფაკულტეტო დონეზე უნდა ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

უსდ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ამ დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;

კავშირის დამყარება და თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება.

ისმის კითხვა, რამდენად წარმატებულად ხდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; რამდენად სრულდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნები და რამდენად შეესაბამება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ქართული სისტემები საერთაშორისო სტანდარტებს.

2010 წელს, ტემპუსის ეროვნული ოფისის ეგიდით ჩატარდა კვლევა „ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში - მიღწევები და პრობლემები“ (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი: ნ. ჯავახიშვილი).<sup>37</sup> არსებული ვითარების გასაანალიზებლად და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ნაწილობრივ სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებსა და ძირითად დასკვნებს დავეყრდნობი.<sup>38</sup>

ქართველი ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების თანახმად, საქართველოში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიღწევებისა და ნაკლოვანი მხარეების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:


- მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, როგორც ცნება და როგორც პროცესი, უკვე დამკვიდრდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, საჯაროა და ყველასათვის ხელმისაწვდომია უსდ-ების ვებგვერდებზე;

<sup>37</sup> კვლევის ანგარიში იხ.: <http://www.tempus.ge/files/QA%20-%20ge.pdf>.

<sup>38</sup> კვლევა დაეყრდნო შემდეგი უნივერსიტეტების მონაცემებს: თსუ, ილიას უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი.

- მიღწევაა სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება, თუმცა ისინი მუდმივად საჭიროებენ განვითარებასა და სრულყოფას (ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რასაც ყველა მხარე აცნობიერებს);
- სილაბუსებსა და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნები ხშირად იცვლება, რაც ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელებული ხშირი ცვლილებებითაა განპირობებული (ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო 2005-2010 წლებში);
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილის შეფასებით, ცალკეულ შემთხვევებში ლახვას მათ აკადემიურ თავისუფლებას, რისი პრევენციაც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით უნდა მოხდეს;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უფრო მეტად კონცენტრირებულია ფორმალური მხარეებისა და დოკუმენტების შემოწმებაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს შინაარსის, რეალური შედეგებისა და პროცესების შეფასებას;
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები ყოველთვის პროფესიონალების მიერ შედგენილი არ არის და არც გამოკითხვის შედეგებს ექცევა ჯეროვანი ყურადღება;
- თითქმის არ გამოიყენება, ან სათანადო შედეგებს არ იძლევა აკადემიური პერსონალის მიერ ერთმანეთის კოლეგიალური შეფასება;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა შემოიფარგლება, ძირითადად, სწავლებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს კვლევას;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში თითქმის არ ხდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს;
- ნაკლები ყურადღება ეთმობა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებასა და ამაღლებაზე ზრუნვას;
- აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება არ ხდება აკადემიური კონკურსების პროცესში;
- არასაკმარისია თანამშრომლობა უცხოეთის უსდ-ებთან ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით;
- სტუდენტები და აკადემიური პერსონალი არასაკმარისად არის ჩართული შეფასების პროცესებში;

- ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია ხშირად მხოლოდ ფორმალურად არსებობს და მისი რეალური განხორციელება არ ხდება;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები თანამშრომლობენ ხარისხის ცენტრთან, თუმცა სასურველია ამ თანამშრომლობის გაღრმავება;
- უსდ-ები არასაკმარის ფინანსურ რესურსებს ხარჯავენ ხარისხის შიდა უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად;
- თითქმის არ ხდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაცია ხშირად არ არის საკმარისი მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად (ეს განსაკუთრებით შეეხება დასავლური საგანმანათლებლო სტანდარტებისა და უმაღლესი განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ცოდნას);



### 3. რეკომენდაციები

#### 3.1. ხარისხის გარე უზრუნველყოფა

- ხარისხის ცენტრის საქმიანობის სფეროს შეზღუდვა, მიზნებისა და შესაბამისი ფუნქციების მის მისიასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რაც ქართული უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ ნდობის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს;
- აკრედიტაციის პროცესის გამიჯვნა სახელმწიფოსგან (სახელმწიფოს უნდა ჩამოერთვას აკრედიტაციის საბჭოს წევრების დანიშვნის, აკრედიტაციის სტანდარტების დამტკიცების ფუნქცია);
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის ახალი კონცეფციის, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რაც უნდა გულისხმობდეს შემდეგს: ეტაპობრივ გადასვლას პროცესზე ორიენტირებული მიდგომიდან შინაარსზე ორიენტირებულ მიდგომაზე, ინტერნაციონალიზაციას და უმაღლესი განათლების ხარისხის რეალურ განვითარებას;
- ავტორიზაციის მიზნებისა და შინაარსის გაფართოება. ავტორიზაციის შედეგად არა მხოლოდ ფუნქციონირების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მოპოვება, არამედ მის ფარგლებში უსდ-ს ინსტიტუციური განვითარების შეფასება და ხელშეწყობა. დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში ტერმინების „ავტორიზაცია“ და „აკრედიტაცია“ ჩანაცვლება მათი შინაარსის უკეთ გამომხატველი „ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციით“;
- სახელმწიფო დაფინანსების მიღება არა აკრედიტაციის, არამედ ავტორიზაციის საფუძველზე;
- აკრედიტაციასთან დაკავშირებული სადავო, შინაარსობრივი და კონცეპტუალური საკითხების განხილვა არა სასამართლოში, ადმინისტრაციული წარმოებით, არამედ დარგის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულ სააპელაციო კომისიაში;
- პირობითი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ცნების შემოტანა (ამ შემთხვევაში ავტორიზაცია-აკრედიტაცია აღარ განიხილება სადამსჯელო ინსტრუმენტად და იგი რეალურად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებას);

- ავტორიზაცია-აკრედიტაციის მკაფიო და გასაგები სტანდარტებისა და შეფასების ინდიკატორების შემუშავება;
- დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება, რასაც კოორდინაციას გაუწევს ხარისხის ცენტრი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების, უცხოური დონორების ფინანსური მხარდაჭერით;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის განსხვავებული სტანდარტის შემუშავება, რომელშიც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული კვლევების ხარისხის შეფასება (აღნიშნული სტანდარტისთვის კარგ თეორიულ საფუძველს ქმნის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფა სადოქტორო განათლებაში“<sup>39</sup>);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო დოკუმენტების (კანონქვემდებარე აქტების) შემუშავების დროს სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და დარგობრივი სფეროების სპეციფიკის გათვალისწინება (უკვე არსებული კანონქვემდებარე აქტების რევიზია - მათში ცვლილებების შეტანა ან მათი ჩანაცვლება ახალი დოკუმენტებით);
- როგორც უსდ-ებისათვის, ისე ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტებისათვის თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების თარგმნა/შემუშავება (თემატიკა: სწავლის შედეგები, კრედიტები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვ.);
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტთა ფუნქციებისა და ვალდებულებების მკაფიო განსაზღვრა;
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის შექმნა;
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტთა მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა (დარგობრივი სფეროს ცოდნა, უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციების ცოდნა, სწავლების, კვლევის და/ან უსდ-ს მართვის გამოცდილება და სხვ.);
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს წევრთა შერჩევის ისეთი მოდელის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად მოხდება ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;

<sup>39</sup>იხ.: [http://www.eua.be/Libraries/Publications\\_homepage\\_list/EUA\\_ARDE\\_Publication.sflb.ashx](http://www.eua.be/Libraries/Publications_homepage_list/EUA_ARDE_Publication.sflb.ashx).

- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ექსპერტების მომზადება-გადამზადება (მათთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება შემდეგ თემებზე: ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები, ექსპერტების ფუნქცია და ვალდებულებები, ინტერვიუს ჩატარების მეთოდები, ეთიკის კოდექსი, თანამედროვე განათლების სისტემა, სწავლის შედეგები, კრედიტები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვ.);
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცედურებისათვის რეალისტური ვადების განსაზღვრა და მათი განუხრელად დაცვა, რაც ხელს შეუწყობს პროცესების ხარისხის ამაღლებას;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების დაზოგვის მიზნით ერთი იმავე ექსპერტის/ექსპერტების მიერ მონათესავე პროგრამათა სამივე საფეხურის პროგრამების შეფასება (უსდ-ში მათი არსებობის შემთხვევაში);
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაცია - შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვა (შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის პრევენციით);
- ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის ან სხვა ანალოგიური საერთაშორისო წევრი ორგანიზაციების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება გარკვეული პროცედურების შედეგად;
- ხარისხის ცენტრის გაწევრიანება შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში (ENQA, EQAR);
- გარკვეული პერიოდით (თუნდაც ექვსი თვით) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების შეჩერება - მორატორიუმის დაწესება, ხოლო აღნიშნული დროის გამოყენება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების შინაარსობრივი რეფორმირებისთვის. უსდ-ების უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებელი იქნება მათი წინასწარი ინფორმირება (ექვსი თვით ადრე მაინც) მოსალოდნელი მორატორიუმის შესახებ, ხოლო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, მოდერნიზებული სისტემები უნდა ამოქმედდეს მათი ოფიციალურად მიღებიდან არანაკლებ ერთი წლის ვადაში.

### 3.2 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა

- ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს არა უსდ-ს ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის, არამედ მთელი კოლექტივის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობა;
- აუცილებელია ხარისხის კულტურის, კოლეგიალური შეფასების, ე.წ. peer review-ს კულტურის დამკვიდრება აკადემიურ საზოგადოებაში, რაც საქართველოს მცირე მასშტაბის და აგრეთვე ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების გამო ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესი იქნება;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები უსდ-ს შიგნით არ უნდა ასრულებდნენ მხოლოდ ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების კოორდინატორის ფუნქციას, არამედ მათ რეალურად უნდა იზრუნონ ხარისხის განვითარებაზე;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები მხოლოდ ტექნიკური და ფორმალური მახასიათებლების შეფასებიდან უნდა გადავიდეს შინაარსობრივ მხარეზე, რისი განხორციელებაც შესაძლებელი იქნება დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პარალელურად;
- მნიშვნელოვანია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცია, ანუ შეფასების პროცესში უცხოელი კოლეგების ჩართვა (მაგალითად, პარტნიორი უსდ-ების);
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ სამეცნიერო კვლევებსა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებას;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის დროს აკადემიური პერსონალი და სტუდენტები რეალურად და არა ფორმალურად უნდა იყვნენ ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური პერსონალის, სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში;
- სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების კვალიფიკაციის ამაღლებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად;
- აუცილებელია ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კვლევების დაფინანსებისათვის თანხების მოძიება (უსდ-ს ბიუჯეტი, კერძო სექტორი, დამსაქმებელი და სხვ.);
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები უნდა იცავდნენ პროფესიული ეთიკის ნორმებს.

## ინტერვიუები

1. ლიკა ღლონტი, ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი უფროსი, აკრედიტაციის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე
2. ელენე ჯიბლაძე, სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორი
3. დავით კერესელიძე, თსუ სრული პროფესორი, უნივერსიტეტ „ნიუ ვიჟენის“ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორი
4. მარინა ქარჩავა, თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, აკრედიტაციის საბჭოს ყოფილი წევრი
5. აბდულ კახიძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი უფროსი, ტემპუსის ეროვნული ოფისის უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი



## გამოყენებული მასალები

### წყაროები:

### საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები:

- ✓ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004-2013 წწ.);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 11 ნოემბრის N618 ბრძანება „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის წესის დებულებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, 2010 წლის 1 ოქტომბერი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N188, 07.04.2011 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“;
- ✓ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“;
- ✓ სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიშები (2006 წ., 2007 წ., 2009 წ.);
- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში (2010 წ.);

### კვლევები:

- ✓ Bologna Process National Report – 2005, 2007, 2009
- ✓ Bologna Process Stocktaking Report – 2005, 2007, 2009, 2012
- ✓ უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები, აღწერითი ანგარიში ბოლონის პროცესის ინდიკატორების მიხედვით, თბილისი 2009 წ.

- ✓ USAID-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები - სსიპ განათლების აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის შეფასება (2009 წ.);
- ✓ ევროკომისიის მიერ ჩატარებული სადოქტორო განათლების კვლევა (2010 წ.);
- ✓ ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ჩატარებული კვლევა საქართველოს უსდ-ებში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შესახებ (2010 წ.);
- ✓ ტემპუსის პროექტ PICQA-ს ფარგლებში ჩატარებული კვლევა - აკრედიტაციის პროცესის შეფასება (2011 წ.);
- ✓ ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ჩატარებული კვლევა საქართველოში სადოქტორო განათლების შესახებ (2010 წ.);
- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული უსდ-ების გამოკითხვის შედეგები (2013 წ.);

#### VARIA:

- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“, უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია;
- ✓ European Association for Quality Assurance in Higher Education: <http://www.enqa.eu/>;
- ✓ European Quality Assurance Register for Higher Education: <http://www.eqar.eu/>;
- ✓ Quality Assurance and Accreditation: A Glossary of Basic Terms and Definitions compiled by Lazăr VLĂSCĂANU, Laura GRÜNBERG, and Dan PÂRLEA, Bucharest 2007;
- ✓ ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო: <http://www.qaa.ac.uk/>;
- ✓ ნორვეგიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო: <http://www.nokut.no/en/>;
- ✓ ესტონეთის უმაღლესი განათლების ხარისხის სააგენტო: <http://www.eak.ee/>;
- ✓ Conditions and Procedures for Institutional Accreditation, approved by EKKA Quality Assessment Council on 01.04.2011, amended on 13.06.2012;
- ✓ Conditions and Procedure for Institutional Accreditation, Explanatory Memorandum;
- ✓ Quality Assessment of Study Programme Groups in the First and Second Cycles of Higher Education, approved by EKKA Quality Assessment Council, 13.06.2012;
- ✓ Quality Assessment of Study Programme Groups in the First and Second Cycles of Higher Education, Explanatory Memorandum;
- ✓ თ. ბრეგვაძე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, გზამკვლევი, თბილისი 2009;
- ✓ ა. სამადაშვილი, შ. ჯაფარიძე, განათლების ხარისხის მართვა, ხარისხის პრემიები, თბილისი 2007, 180 გვერდი;
- ✓ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), სახელმძღვანელო, თბილისი 2009;
- ✓ ECTS User's Guide, Luxemburg 2009;
- ✓ საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში, თბილისი 2008;
- ✓ საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში, შესავალი, თბილისი 2009;

- ✓ თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, პროექტის ანგარიში, თბილისი 2009;
- ✓ <http://tuning.unideusto.org/tuningal/>;
- ✓ ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო: <http://www.eua.be/cde/Home.aspx>;
- ✓ Quality Assurance in Doctoral Education – results of the ARDE project, 2013;
- ✓ Using Learning outcomes, European Qualifications Framework Series: Note 4 ([http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc/eqf/note4\\_en.pdf](http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc/eqf/note4_en.pdf));
- ✓ <http://www.ehea.info/>;
- ✓ European Qualification Framework (EQF);
- ✓ European Qualification Framework for Lifelong Learning (EQF for LLL);
- ✓ Seminar for HERE-s and Bologna Experts, NQF in the Context of QA, TSU, 4-5 November 2010 (Seminar Reader);
- ✓ განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის პროექტი (გედა) - მისიაზე დაფუძნებული ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების სამუშაო ვერსია;
- ✓ ტვინინგის პროექტის მასალები და შედეგები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებული ტემპუსის პროექტების შედეგები და მასალები;